



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
(ფედამინის მეგობრები - საქართველო)



გარემო და საზოგადოება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პერიოდული გამოსემა, №1(13) 2011 წელი



Sida

ჟურნალი გამოიცა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური უზრუნველყოფით პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ფარგლებში.



ცვლილებები და გაუმჯობესება

საქართველოში ფართომასშტაბიანი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები ხორციელდება. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: აქ შეიცვალა განათლების, ჯანდაცვის, პენიტენციალური, საფინანსო, საბანკო, მართლმსაჯულება, სასამართლო, საგადასახადო და საბაჟო სისტემები, პოლიცია. აღნიშნული უწყებები გაათავისუფლეს კორუმპირებული ოფიციალური პირებისაგან, რომ ეს მაგალითი გამხდარიყო სხვა თანამშრომლებისათვის.

ახლა კი მიზანად დაისახა თვით საქართველოს დასუფთავება: ის უნდა გაიწმინდოს ნარჩენებისა და პლასტიკისაგან, ძველი ნაგავსაყრელებისა და დაბინძურებული ადგილებისაგან.

ცვლილებები აშკარაა, ახალგაზრდა დემოკრატიულ ქვეყანაში ხშირად რეფორმების ინიციატორი მთავრობაა, მაგრამ მთავარი ძალა უკეთესი ცხოვრებისათვის ის ხალხია, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრობს. შვედეთი ამაყობს თავისი მხარდაჭერით ამ პროცესებში.

შვედეთის საქართველოსთან თანამშრომლობის მრავლისმომცველი ამოცანაა დაეხმაროს ქვეყანას დემოკრატიული და პასუხისმგებლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და ევროკავშირთან დაახლოებაში.

გარემოს დაცვა არის ერთ-ერთი იმ სამი სექტორიდან, რომელზეც შვედეთი საქართველოსთან თანამშრომლობს. ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შემცირება, სუფთა და ჯანმრთელი გარემოს არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოსახლეობისათვის და პრიორიტეტს წარმოადგენს მთავრობისათვის. ამიტომაც, ჩვენი ერთ-ერთი პროექტი მიმართულია ქვეყანაში ნარჩენების მართვის გაუმჯობესე-

ბისაკენ. შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (Sida) თავისი პარტნიორის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის EBRD მეშვეობით აფინანსებს ევროპული სტანდარტების ნაგავსაყრელების მშენებლობას აჭარის რეგიონში (ჩაქვი) და რუსთავში.

ასეთივე მნიშვნელოვანი პროექტია - „დავასუფთაოთ საქართველო“, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ნარჩენების მართვასთან მიმართებაში და მის ჩართვას მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში. ამ პროექტმა, რომელიც 2010 წლის სექტემბერში დაიწყო, დასუფთავების კამპანიის ფარგლებში, მობილიზება გაუკეთა საქართველოს მთელ მოსახლეობას. დასუფთავდა ქუჩები, ქალაქები და სოფლები, განსაკუთრებით ტყეები, ხეები და მდინარის ნაპირები. დასუფთავდა ის ადგილები სადაც, აშკარად შეიმჩნეოდა წლების მანძილზე დაგროვილი ნარჩენები. აღნიშნული პროექტის მეშვეობით ვრცელდება ინფორმაციები ნარჩენის მართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. ტარდება სამუშაო შეხვედრები და სემინარები საზოგადოებასთან, რომლის დროსაც მოსახლეობა ეცნობა ნარჩენების მართვის ახალ მეთოდებს და მიდგომებს. რადგან, არ შეიძლება მიოთხოვო ცვლილებები შენს გარშემო, თუ თვითონ არ ხარ მზად შეცვალო მცირედი მაინც უკეთესობისაკენ.

ამ გასაოცარი სილამაზის მქონე ქვეყანაში მე ვხვდები უამრავ ქართველს, მათ შორის კაცებს და ქალებს. დარწმუნებული ვარ, რომ მათ გააჩნიათ დიდი პასუხისმგებლობა და სურვილი იზრუნონ თავიანთ ქვეყანაზე. დღეს, საქართველოში დაწყებული დასუფთავების კამპანიის მეშვეობით მიღწევადია გადაიჭრას უკონტროლი ნარჩენების პრობლემა, შემცირდეს დაბინძურებული ადგილები, გამოყენებული იქნას სეპარაციისა და ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე მეთოდები.

რისი შეცვლა შეგიძლია? გიკითხავთ საკუთარი თავისთვის? დაგირიგებიათ თქვენი ბავშვები, რომ არ დაანაგვიანონ გარემო? ნუ წავიღებთ ზედმეტ ცულოფნის პარკებს როცა მივდივართ საყიდლებზე. გავისეირნოთ ფეხით ან ვისარგებლოთ მიკრო-ავტობუსით სამსახურში მისასვლელად ან ჩვეული საქმეების დროს. შევამციროთ მანქანით მოძრაობა. შეგიძლიათ შეამციროთ დიდი რაოდენობით წყლის მოხმარება ჭურჭლის რეცხვის დროს? დარწმუნდით, რომ პიკნიკის შემდეგ დაასუფთავებთ? დაგისუფთავებიათ თქვენი სახლის წინ ტერიტორია? ბუნების მათემატიკაში ყველაფერი თვლადია.

პატივისცემით
დიანა იანსე
შვედეთის ელჩი





* * *

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურება, კაცობრიობისათვის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად გადაიქცა.

ინდუსტრიულმა განვითარებამ, ეკონომიკის ზრდამ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ, ადამიანის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები სულ უფრო მრავალფეროვანი გახდა. მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდამ კი, მათი რაოდენობის გაზრდა გამოიწვია.

თანამედროვე ნარჩენები შეიცავს ბევრ სინთეზურ პროდუქტს, რომელთა დაშლასა და ბუნებრივ ციკლებში ჩართვას ასობით წელი სჭირდება. არადა, მთელ მსოფლიოში ყოველდღიურად იწარმოება მილიონობით მანქანის საბურავები, რეზინის სათამაშოები, საბავშვო კვების ბოთლები, შესაფუთი მასალები და სხვა სინთეზური საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები.

თანამედროვე ადამიანს ყველაფერს ვერ აუკრძალავ და ვერც ეკონომიკის განვითარებას შეაჩერებ. არა და, ყოველი ახალი მობილური, ყოველი ახალი ნათურა თუ ნებისმიერი სხვა ყოველდღიური მოხმარების ნივთი, მოკლე ხანში ჩვენს მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ურიცხვ მასას უერთდება და ერთის მხრივ აბინძურებს გარემოს, ხოლო მეორეს მხრივ, სულ უფრო და უფრო მეტ ტერიტორიას მოითხოვს განსათავსებლად.

სწორედ, ამიტომ გახდა აუცილებელი ნარჩენებთან მიმართებაში ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომლის მიზანი იქნებოდა ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება, განთავსება და ხელახალი გამოყენება, რასაც წარმატებით გაართვეს თავი ევროპის რიგმა ქვეყნებმა, რომელთა შორის ერთერთი ლიდერია შვედეთის სახელმწიფო.

მე მოხარულ ვარ, რომ სწორედ შვედეთის სართაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) დახმარებით ხორციელდება საქართველოში ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი, როგორცაა „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“.

აქვე მინდა ავლინშნო, რომ მართალია საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ყოველთვის ხორციელდებოდა მცირე აქტივობები დასუფთავების კუთხით, მაგრამ ასეთი მასშტაბური ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა პირველად მოგვეცა და დარწმუნებული ვარ, რომ პროექტის განმხორციელებელი ჯგუფი ყველაფერს გააკეთებს ამ შესაძლებლობის სრულად გამოყენებისათვის.

ამ პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს, ვასწავლოთ მოქალაქეებს როგორ შევამციროთ, დავახარისხოთ, გადავამუშაოთ, განვთავსოთ და ხელახლა გამოვიყენოთ ის ნივთები თუ პროდუქტები, რომლებსაც ასე ადვილად მოვისვრით ნაგვის ყუთებში ან უარეს შემთხვევაში პირდაპირ იქ ვყრით სადაც მოგვესურება. ამით კი, საფრთხეს ვუქმნით არამართო ჩვენს ჯანმრთელობას, არამედ ჩვენს გარემოსაც.


ძალზედ მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქემდე იქნას დაყვანილი, მისი პირადი პასუხისმგებლობის მნიშვნელობა გარემოს დასუფთავების პროცესში. ვინაიდან, თითოეულ ჩვენთანზეა დამოკიდებული ვიცხოვრებთ თუ არა ისე, როგორც ეს შეეფერება ცივიზიზიზულ ადამიანებს.

ნინო ჩხოზაძე

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო
თანათავმჯდომარე, პროექტის მენეჯერი

კამპანია „დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World)

1992 წელს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს გარემოსდაცვით კამპანიას - „დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World), რომელიც ადგილობრივი გარემოს გაუმჯობესების ქვეყნების ხელისუფლებისა და გენლებს, საზოგადოებრივ ცალკეულ მოქალაქეებს ფარაქციების და შესაბამისი სთვის. კამპანია, მყარი საყმოს დაბინძურების შემცირწელს და მასში მონაწილეანი მოსახლეობით). 2010 მიიღო მონაწილეობა აღნიშ



მიზნით, აერთიანებს მთელი რიგი და ბიზნეს-სექტორის წარმომადორგანიზაციებს, სკოლებს და თომასშტაბიანი დასუფთავების პროგრამების განხორციელებიოფააცხოვრებო ნარჩენებით გარეების მიზნით, ტარდება ყოველობს 120 ქვეყანა (35 მილიონიწელს საქართველომ პირველად ნულ კამპანიაში.

კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო“

საქართველოში კამპანია „დავასუფთაოთ მსოფლიო“ ჩატარდა 2010 წლის 17, 18 და 19 სექტემბერს შემდეგი ლოზუნგით: „საზოგადოება ზრუნავს ბუნებაზე“, რის შემდეგ საქართველო დატანილი იქნა მსოფლიოს გარემოსდაცვით რუკაზე.

კამპანია ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მასში მონაწილეობა მიიღო 29 000-მდე ადამიანმა. კამპანიის ორგანიზატორ არასამთავრობო ორგანიზაციებს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრებს“ და „ეკოხედვას“ დიდი თანადგომა გაუწიეს:

- ✓ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ;
- ✓ ქალაქ თბილისის მერიამ;
- ✓ რეგიონების რწმუნებულებმა;
- ✓ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა;
- ✓ ადგილობრივმა მოსახლეობამ;
- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციებმა;
- ✓ სხვადასხვა მედია საშუალებებმა;

დედაქალაქში კამპანიის ფარგლებში დასუფთავდა ლისის ტბისა და თბილისის ზღვის სანაპიროები, დიღმის ტყე-პარკი (მონაწილეები არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, თბილი-


სის მერიის დასუფთავების სამსახურის, ესტონეთის საელჩოს, USAID-ის, სასტუმრო „მერატონ მეტეხი პალასის“ თანამშრომლები და ადგილობრივი მოსახლეობა).

კამპანიაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 56 რაიონმა.

აღსანიშნავია, რომ 17, 18 და 19 სექტემბრის „დავასუფთაოთ საქართველო“ კამპანია საქართველოში საკმაო წარმატებით ჩატარდა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ საზოგადოებაში გაჩნდა მოთხოვნა იცხოვრონ სუფთა და მოწესრიგებულ გარემოში. სწორედ, სექტემბერში ჩატარებული დასუფთავების აქციების შემდეგ, ჩატარდა სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დასუფთავების არაერთი აქცია, მოსახლეობის მიერ საკუთარი ეზოებისა თუ სადარბაზოების დასუფთავება.



საზოგადოების აქტიურობაზე მეტყველებს 23 ოქტომბერს ჩატარებული დასუფთავების აქცია, რომელშიც ადგილობრივ მოსახლეობასთან და „დავასუფთაოთ საქართველო“ კამპანიის ორგანიზატორებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები ისანი-სამგორის გამგეობის წარმომადგენლები და ამავე რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. აქციის დროს დასუფთავდა წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიისა და მიმდებარე საცხოვრებელი კორპუსის ტერიტორიები.



„დავასუფთაოთ საქართველო - დავასუფთაოთ პატარძეული“

დასუფთავების კამპანიის ნაწილს წარმოადგენს, ასევე 18 და 19 ნოემბერს სოფელ პატარძეულში (საგარეჯოს რაიონი) ჩატარებული დასუფთავებისა და გამწვანების აქცია-



ბი. სადაც დასუფთავდა და გამწვანდა (დაირგო 1000-მდე სხვადასხვა სახეობის ნერგები) სოფელ პატარძეულში გოგლა ლეონიძის მიერ გაშენებული ბალის მიმდებარე ტერიტორია. აქციაში „დავასუფთაოთ საქართველო“ კამპანიის ორგანიზატორებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, სოფლის გამგეობის, ადგილობრივი მოსახლეობისა და სოფელ პატარძეულის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მიიღო 200-მდე ადამიანი, დასუფთავდა 3 ჰა ტერიტორია. შეგროვდა 10 მ/3 მოცულობის ნარჩენი.

„დავასუფთაოთ საქართველო – დავასუფთაოთ რუსთავი“

25-26 ნოემბერს ქალაქ რუსთავში „დავასუფთაოთ საქართველო“ კამპანიის ფარგლებში ჩატარდა დასუფთავებისა და გამწვანების აქციები.

აქციის პირველ დღეს დასუფთავდა ქ. რუსთავის საჯარო სკოლებისა (26 სკოლა) და საბავშვო ბაღების (21 ბაღი) ტერიტორიები. ხოლო, მეორე დღეს გამწვანდა იმავე სკოლებისა და საბავშვო ბაღების ტერიტორიები. დაირგო სხვადასხვა სახეობების 2000-მდე ნერგი. „დავასუფთაოთ საქართველო“ კამპანიის მსგავსად, რუსთავში დასუფთავებისა და გამწვანების აქციაში აქტიური მონაწი-



ილეობა მიიღეს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში და ქ. რუსთავის მერმა. სკოლების პედაგოგებმა და მოსწავლეებმა. ასევე, გამწვანების აქციაში მონაწილეობდა შვედეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ქალბატონი დიანა იანსე.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ რუსთავს გადაეცა სპეციალური სერთიფიკატი დასუფთავების კამპანიაში აქტიური მონაწილეობისათვის. დასუფთავებისა და გამწვანების აქციებში მონაწილეობა მიიღო 400-მდე ადამიანმა, დასუფთავდა 70 ჰა ტერიტორია, შეგროვდა 8 მ/3 ნარჩენი.

პროექტში „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების



მართვის გაუმჯობესების პროცესში” საზოგადოება აქტიურად ჩაერთო, რაზეც მეტყველებს ის განხორცილებული საქმიანობები რომელიც პროექტის ფარგლებში ჩატარდა.

რა ხდება საქართველოში

* * *

საქართველოში იმ აქტუალურ და მწვავე პრობლემებს შორის რომელიც გარემოსდაცვით სფეროშია, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნარჩენების მართვის (ანუ შემცირების, გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების) პრობლემას.

ნარჩენები ყრია ყველგან – ქალაქის ქუჩებსა თუ სოფლებში (გამონაკლისს თბილისის ცენტრალური უბნები წარმოადგენს), მათ მიმდებარე ტერიტორიებზე, საავტომობილო და სარკინიგზო ტრასების პერიმეტრებზე, ხევებში თუ მდინარეთა კალაპოტებში. დაბინძურებულია ჰაერი, ნიადაგი, წყალი. ამავე დროს, აკუმულირებული (დაგროვებული) ნარჩენები ქმნიან ანტისანიტარიულ კერებს, რითაც იქმნება ინფექციის გადამტანი პარაზიტების გამრავლების კარგი პირობები, რაც თავისთავად ინფექციური დაავადებების წარმოქმნის წინაპირობას წარმოადგენს.

დაბინძურებულია ე.წ. „მოქეიფე-მოხეტიალე“ კომპანიების წევრთა მიერ, ტყეები და სხვადასხვა რეკრიაციული ზონები. რჩება შთაბეჭდილება, რომ დანაგვიანებას გადაურჩა მხოლოდ მაღალმთიანი, მიუდგომელი ადგილები.

თუ დიდ ქალაქებში მეტნაკლებად მოგვარებულია მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელებზე, ამ მხრივ სოფლებში ისევ მძიმე მდგომარეობაა. სოფლის მოსახლეობა, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით მართალია ნაკლებ ნარჩენს წარმოქმნის (მაგ. საკვების ნარჩენებს იყენებს შინაური პირუტყვის გამოსაკვებად, ნაკელს იყენებს სასუქად და ა.შ.) მაგრამ, იმ მცირედი ნარჩენის შესაბამის ტერიტორიაზე განთავსებაც კი მოუგვარებელია. ამიტომ, ეს ნარჩენი საბოლოოდ სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძირითადად კი ლეღებში, ხევებში და მდინარეებში იყრება.



რაც შეეხება თავად ნაგავსაყრელებს...

დღეისათვის საქართველოში მოქმედ ნაგავსაყრელებს მთლიანობაში უკავიათ 300 ჰექტარამდე მიწის ფართობი. ხშირად ნაგავსაყრელები დასაშვებ მანძილზე ახლოს მდებარეობენ დასახლებული პუნქტებიდან, მდინარეებიდან და ზღვის სანაპიროდან, რაც ქმნის ჰაერის, ნიადაგის, მიწისქვეშა და მიწისზედა წყლების დაბინძურების საშიშროებას.

გარდა ამისა, თითქმის ყოველ დასახლებულ პუნქტთან ფუნქციონირებს მცირე ზომის არალეგალური ნაგავსაყრელები, რომელთა უმრავლესობა მდინარეების პირასაა განთავსებული, რის გამოც წვიმებისა და წყალდიდობების დროს მდინარეებში ირეცხება დიდი რაოდენობით სხვადასხვა ნარჩენი. რაც ბუნებრივია დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს.

აღსანიშნავია, რომ ნაგავსაყრელებზე გარემოსდაცვითი მოთხოვნების უგულველყოფის გარდა (მიწის საიზოლაციო ფენა, წყალშემკრები თხრილები, საკონტროლო ჭები, ხანძრის თავიდან ასაცილებლად დასანოტივებელი ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა და ა.შ), დარღვეულია უსაფრთხოების ყველაზე ელემენტარული მოთხოვნა – შემოღობვა. რის გამოც, ტერიტორიაზე ადვილად შედიან და გადაადგილდებიან უცხო



პირები და პირუტყვი (რომლებიც, ხშირ შემთხვევაში იკვებებიან სახიფათო ნარჩენებით). არავისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ადამიანები ნაგავსაყრელებზე თვითნებურად აგროვებენ მინისა და პლასტმასის ბოთლებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ლითონებს და ა.შ. ლითონების შეგროვებისას კი აღრიცხულია აფეთქების ფაქტებიც, სავალალო შედეგებით.

საქართველოში ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა-განთავსების სისტემა დღეისათვის არ არსებობს. არ ფუნქციონირებს ნარჩენების გადამუშავების ინდუსტრია. გამომდინარე აქედან, არც ნარჩენების დახარისხებას ექცევა არანაირი ყურადღება.



რა არის გასაათებალი?!

არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია:

ნარჩენების მართვის საკანონმდებლო ბაზის შემუშავება

„ნარჩენების შესახებ“ კანონის მიღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორცაა საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების კლასიფიკაცია, შეგროვება, სახელმწიფო აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის ჩამოყალიბება, ტრანსპორტირება, რეციკლირება და ხელახალი გამოყენება, ასევე მათი განთავსების საკითხები.

კანონი ასევე დაავალდებულებს შესაბამის მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს გაატარონ ის აუცილებელი და გადაუდებელი ღონისძიებები, რომლებიც შექმნიან ნარჩენების სწორი მართვისათვის შესაბამის გარემოს და გამომდინარე აქედან, უზრუნველყოფენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვისათვის შესაბამისი პირობების შექმნას.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ნარჩენებთან მიმართებაში შესაბამისი უნარ-ჩვევების გამოთქვება

* * *

აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსახლეობის მონაწილეობა, ამაზე შედეგის გამოცდილებაც მიუთითებს. ამ ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სწორად წარმართულმა ცნობიერების ამაღლების კამპანიებმა, მნიშვნელოვნად განაპირობეს ის მიღწევები, რის გამოც შედეგითი დღეისათვის ლიდერად არის აღიარებული ნარჩენების მართვის სფეროში.

სწორედ, საქართველოში საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ხელშეწყობისათვის დააფინანსა შედეგითი საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (Sida) პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო“ – რომლის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში.

ამ პროექტის ფარგლებში 17, 18 და 19 სექტემბერს, საქართველოში ჩატარდა დასუფთავების კამპანია, რომელშიც ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 29 000-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, რაც ოთხმილიონიანი მოსახლეობის მქონე ქვეყნისთვის ცოტაა.

თუმცა, ამას ახსნაც მოეძებნება - თუ ქვეყანაში მოსახლეობის მხოლოდ 0,72%-ს აწუხებს ისეთი გარემოსდაცვითი პრობლემა, როგორცაა ნარჩენები მიუთითებს იმაზე, რომ:

- ✓ ჯერ კიდევ, თითოეული ჩვენთაგანი არ თვლის თავს **დამნაშავედ** დანაგვიანებული ქვეყნის გამო;
- ✓ ჯერ კიდევ, თითოეული ჩვენთაგანი არ თვლის თავს **ვალდებულად** საკუთარი ბინის გარეთ, რაიმე დაასუფთაოს;
- ✓ ჯერ კიდევ, თითოეული ჩვენთაგანი არ გრძნობს თავს **უხერხულად** დანაგვიანებული გარემოს დანახვაზე;
- ✓ ჯერ კიდევ, თითოეულ ჩვენთაგანს **არ ალელვებს** თავისი შვილების ჯანმრთელობა და მომავალი რაც ძალზედ შემაშფოთებელია.

თუმცა, თუ თითოეული საქართველოში მცხოვრები ადამიანი გაითავისებს ამ პრობლემას და ცხოვრების წესად აქცევს ცივილური გზებით მის მოგვარებას, მიზანს მალე მივალწევთ. ვცეთ ჩვენ თავს და ერთმანეთს პატივი და ვიცხოვროთ ჯანსაღ გარემოში.

შეუქმენი საკუთარ შვილებს და ოჯახს ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების პირობები!

რა ვიციით ნარჩენების შესახებ!

ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ ითვლებოდა, რომ - ნარჩენი არის ყველაფერი ის, რასაც თითოეული ჩვენთაგანი აღარ ვიყენებთ ყოფაცხოვრებაში, აღარ გვჭირდება, აღარ ვარგა გამოსაყენებლად და რასაც უბრალოდ - ვყრით ან თავიდან ვიშორებთ. აბსოლუტურად უსარგებლოდ ითვლებოდა ასევე, მრეწველობის სხვადასხვა დარგის, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ტიპის ნარჩენები, რომლებიც იმავდროულად სულ უფრო და უფრო მეტ ტერიტორიებს მოითხოვდნენ განსათავსებლად და ეს ყველაფერი მოიხსენიებოდა ერთი სიტყვით - ნაგავი!!!

მაგრამ დრომ და ტექნოლოგიების განვითარებამ აჩვენა, რომ ეს ასე არ არის. საზოგადოება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთი რომელიმე ადამიანისათვის უსარგებლო ნივთი, სხვისთვის შეიძლება საჭირო გამოდგეს. ხოლო, მუნიციპალური, საწარმოო, სამშენებლო თუ სხვა სახის ნარჩენების უმრავლესობა შესაძლებელია გადაამუშავდეს და ძალიან სასარგებლოდ იქნას გამოყენებული.

ასეთი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, ვინაიდან წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი შეიცავს ისეთ კომპონენტებს, რომელთა ნარჩენის სახით გარემოში მოხვედრა აზინძურებს ჰაერს, წყალს, ნიადაგს და სეროიზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს მდგომარეობას. გარდა ამისა, გარკვეული პრო-

ცენტი წარმოადგენს სინთეზურ პროდუქციას, რომელთა დაშლასა და ბუნებრივ ციკლებში ჩართვას ასობით წელი სჭირდება მაგ. ყველა ტიპის პლასტმასის ბოთლები, ცელოფანის პარკები, სხვადასხვა შესაფუთი მასალა, კონტეინერები და ა.შ.

და ეს ყველაფერი არ არის!

კაცობრიობა ვითარდება, იზრდება როგორც მოსახლეობის რაოდენობა, ასევე მოხმარებული და გამოყენებული პროდუქციის მოცულობა. ბუნებრივია, რომ იზრდება სხვადასხვა სახის ნარჩენების რაოდენობაც.

სწორედ, ამ პრობლემებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით ევროკავშირის ქვეყნებმა შეიმუშავეს ნარჩენების მართვის სტრატეგია, რომელიც დამყარებულია ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებასთან, შეგროვებასთან, გაუფრთხილებასთან, გადამამუშავებასთან, განთავსებასთან და ხელახალ გამოყენებასთან. ანუ მარტივად რომ ვთქვათ ...

ნარჩენების მართვა ეს არის - ნარჩენების გონივრული გამოყენება!

გამომდინარე აქედან, რაც უფრო მაქსიმალურად იყენებს ქვეყანა თავის ნარჩენებს, იმდენად გონივრულ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე.

ამ კუთხით ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს შვედეთმა და ნორვეგიამ. მაგალითად, შვედეთში ქვეყნის ნარჩენების 97% გადამამუშავდება და მხოლოდ 3% მიდის თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ ნაგავსაყრელებზე. ეს რასაკვირველია საუკეთესო მაგალითია, მაგრამ თუ ჩვენ გვინდა გაეზღვოთ თანამედროვე, ცივილური მსოფლიოს სრულყოფილებიანი წევრი დღესვე უნდა დავიწყოთ ზრუნვა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჩართვა ამ პროცესში.

თითოეული მოქალაქის ინფორმირებულობის გაზრდა და ნარჩენებთან მიმართებაში შესაბამისი უნარ-ჩვევების გამოამუშავება,

იციით თუ არა, რომ...

ჯერ კიდევ 1907 წლის 18 აგვისტოს ჩატარდა ქ. თბილისის საბჭოს სხდომა - „ქალაქ თბილისის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით“.

ამავე სხდომაზე გადაწყდა, რომ „...გატარდეს დედაქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მტკვრის ნაპირებისა და არხების დასუფთავების ღონისძიებები...“ (ქ. თბილისის საბჭოს სხდომის 180 გადაწყვეტილება).



მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პრობლემის მოგვარებას. ვინაიდან, რამდენიც არ უნდა მოინდომოს სახელმწიფომ, თუ თითოეული ჩვენთაგანი არ გაავითავისებთ პრობლემას და არ გავხდებით პასუხისმგებელი ყოველი გადაგდებული, თუნდაც სულ პატ-

არა ქალაქის ნაგლეჯის მიმართ, დავრჩებით დანაგვიანებული ქვეყნის ამარა და ეს ნამდვილად არ იქნება საამაყო.
ამიტომ, ვიზრუნოთ ჩვენი და ჩვენი შვილების ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე.

შემოგვიერთდი და ჩვენთან ერთად!

დაასუფთავე შენ!

მაგალითი მიეცი სხვას!

შეუნარჩუნე შვილებს ჯანსაღი გარემო!

საუჩიოესო გამოცდილება

შხადათი

დღეისათვის შვედეთი, მსოფლიოში ნარჩენების მართვაში ერთ-ერთ ალიარებულ ლიდერად ითვლება. ამ პრობლემასთან ბრძოლას ქვეყანამ სულ რაღაც 10 წელი მოანდომა და განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია.

თავდაპირველად შემუშავდა ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია, რომლის შესრულებაშიც სახელმწიფო სტრუქტურებსა და სპეციალურ სამსახურებთან ერთად აქტიურად ჩაერთო მოსახლეობა. მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობა, უმეტესად განაპირობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სწორად წარმართულმა ცნობიერების ამაღლების კამპანიებმა.

დღეს, შვედეთის თითოეულ მოქალაქეს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ აუცილებელია ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება, რათა საბოლოო ჯამში რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობის ნარჩენი მივიდეს ნაგავსაყრელებამდე. ამიტომ გულდასმით ახარისხებენ ნარჩენებს ოჯახებში, ეზოებში, ოფისებში, სკოლებში და სხვადასხვა დაწესებულებებში. დახარისხებული კომუნალური ნარჩენის უდიდესი ნაწილი მიდის გადამამუშავებელ ქარხნებში (97%) და მხოლოდ 3% ხვდება განსაკუთრებულად

დაცულ და ტექნიკურად კარგად გამართულ ნაგავსაყრელებზე.

ეს პროცესი იმდენადაა დახვეწილი, რომ ქვეყანაში მყარი ნარჩენების ყოველწლიური ზრდის მიუხედავად (3-4%), ნაგავსაყრელებზე გატანილი ნარჩენების რაოდენობა მცირდება. მაგალითად 2008 წელს 2007 წელთან შედარებით შემცირდა 24%-ით.

ბოლო წლებში, შვედეთში დაინერგა ნარჩენების შეგროვების სრულიად ახალი სისტემა, რომელმაც თითქმის ჩაანაცვლა ძველი კონტეინერული მეთოდი. ეს არის ვაკუუმის მილიანი მანქანები და მიწისქვეშა კონტეინერები. ეს სისტემები სრულიად ავტომატიზირებულია და არ მოითხოვს ხელით შრომას. გარდა ამისა, ისინი უზრუნველყოფენ ნარჩენების სრულ იზოლაციას.

იცით თუ არა, რომ...

შვედეთში ნარჩენების გადასამუშავებელი სპეციალური სადგურებიდან (ინსინატორებიდან), ნარჩენების გადამამუშავების შედეგად საათში 14 კვ/ტ ენერგია გამოიყოფა, რაც სავესებით საკმარისია 250 000 სახლის ელექტონერგიით და 810 000 სახლის გათბობით უზრუნველსაყოფად.

ასევე ძალზედ მოწესრიგებულია ნარჩენების გადამუშავების სისტემა. შედეგთმა შესძლო, რომ 2010 წლისათვის 48%-მდე გაეზარდა ნარჩენების გადამუშავება.

დღეისათვის შედეგთში მოქმედებს 5 800 გადამამუშავებელი სადგური და 650 სპეციალური ცენტრი.

გარდა ამისა, ეფექტურად გამოიყენება ნარჩენების გარდაქმნა სასარგებლო ენერჯიად. ნარჩენების გადამამუშავებელი სპეციალური სადგურებიდან (ინსინატორები) საათში მიიღება 14 კვტ ენერჯია, რომლის 85% გამოიყენება ცენტრალური გათბობებ-

ისათვის, 25% კი ელექტროენერჯის მისაღებად.

და რაც მთავარია - შედეგთში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით, ბოლო 10 წლის მანძილზე, ინსინირატორებიდან გამოყოფილი ემისიების რაოდენობა 99%-ით შემცირდა.

ასეთ წარმატებებს ქვეყანა ვერ მიაღწევდა, რომ არა მისი თითოეული მოქალაქის მონდომება და მხარდაჭერა.

დიდი მიზნები თანამიმდევრული ნაბიჯებით მიიღწევა, რაც შედეგთმა საკუთარ მაგალითზე დაამტკიცა.

დაასუფთავე შენი ჯო, ქაჩა, ქალაქი, ქვეყანა და გადაარჩინე პლანეტა!

* * *

რა შეუძლია გააკეთოს ნარჩენების შესამცირებლად თითოეულმა ჩვენთაგანმა?

- ✓ ნუ ვიყიდით ისეთ ნივთებს რაც არ გჭირდება;
- ✓ შევიძინოთ გამძლე და ადვილად შესაკეთებელი ნივთები;
- ✓ ყოველი ყიდვის დროს თან ვიქონიოთ ჩანთა, რათა თავიდან აიცილოთ პოლიეთილენის პარკების გამოყენება;
- ✓ შევეცადოთ, ყიდვისას უპირატესობა მივანიჭოთ რეციკლირებად (ანუ გადამამუშავებას დაქვემდებარებულ) პროდუქტებს.
- ✓ ნუ დავტოვებთ ჩვენსშე შემდეგ დანაგვიანებულ გარემოს;



- ✓ არ ჩავყაროთ მდინარეებში და წყალსაცავებში ნაგავი;

მოკლედ:

მოვიქცეთ ისე როგორც ეკადრება ცივილიზებულ და თავის ქვეყანაზე შეყვარებულ ადამიანს!

დავიცვათ საკუთარი შეილები და ოჯახის მომავალი, ვიზრუნოთ ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად!



იციოთ თუ არა, რომ...

საქართველოს მასშტაბით, გარემოს დასუფთავების მიზნით, პირველი შაბათობა ჩატარდა 1919 წელს.

პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ სორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველო და მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოსედეა“-ს მიერ.



თუ გაინტერესავთ:

რა ხდება დღეს საქართველოში ნარჩენების შემცირების, გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების კუთხით: როგორ აპირებს პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო“ განმახორციელებელი ჯგუფი, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას და მის მობილიზებას მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გასაუმჯობესებლად;

ეწვიეთ ვებ-გვერდს www.cleanup.ge

ჩაერთეთ ჩვენს აქციებში და დაასუფთავეთ საქართველო!!!

მოგვაწოდეთ ინფორმაცია, თქვენი ინიციატივით დასუფთავებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ განთავსდება ვებ-გვერდზე.

აქვე გაცნობებთ, რომ ვებ-გვერდის მნიშვნელოვანი ნაწილია ინტერაქტიული რუკა, რომელიც ამჟამად შექმნის პროცესშია. რუკაზე დაიტანება საქართველოს ყველაზე დაზინძურებული ადგილები, პარალელურად აღინიშნება პროექტის ფარგლებში დასუფთავებული და გამწვანებული ტერიტორიები.

ველით თქვენს თანადგომას!

შემოგვიერთდით!

ინფორმაციები, შეკითხვები და წინადადებები, მოგვაწოდეთ ელ. ფოსტის შემდეგ მისამართებზე:


info@cleanup.ge

info@greens.ge

info@ecovision.ge



პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ სორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური უზრუნველყოფით



პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ სორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხარდაჭერით

რედაქტორი: **ლელა ყაჭეიშვილი**
დიზაინი: **ირაკლი გულედანი**
გამოცემაზე მუშაობდნენ: **მაია კაპანაძე, ლელა ყაჭეიშვილი**

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველო
საქართველო, თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №10ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge
Web-გვერდი: www.greens.ge www.cleanup.ge